# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 183

2019წ. "17" 09

ქ.თბილისი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 06 ნოემბრის №87 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 06 ნოემბრის №87 გადაწყვეტილებაში. კერძოდ, დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საექთნო საქმე (1) | მეხუთე დონე / საფეხური | ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0913<br>ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 090554 | 180 | 210 | ქართული | 40 | ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14 |
| | | | | | | | 40 | ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192 |
| 2 | ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგი (1) | მეხუთე საფეხური | ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 030254 | 115 | 145 | ქართული | 40 | ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14 |
| | | | | | | | 40 | ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192 |
| 3 | ბუღალტრული აღრიცხვა (1) | მეხუთე დონე | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411 | 99 | 129 | ქართული | 40 | ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14 |
| | | | | | | | 40 | ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192 |
| 4 | კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი (1) | მეხუთე საფეხური | კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040161 | 121 | 151 | ქართული | 28 | ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14 |
| 5 | ფარმაცევტის თანაშემწე (1) | მეოთხე საფეხური | ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351 | 90 | 120 | ქართული | 40 | ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14 |
| | | | | | | | 40 | ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | ოფისის მენეჯერი (1) | მეოთხე საფეხური | ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020365 | 105 | 135 | ქართული | 40 | ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14 |
| | | | | | | | 40 | ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192 |
| 7 | ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი (1) | მეოთხე საფეხური | ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 070355 | 115 | 145 | ქართული | 20 | ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14 |
| 8 | ფილამწყობი (1) | მესამე საფეხური | ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040682 | 68 | 83 | ქართული | 20 | ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14 |
| 9 | ინფორმაციის ტექნოლოგია (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612 | 60 | 75 | ქართული | 20 | ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14 |
| | | | | | | | 20 | ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192 |
| 10 | მეხილეობა (კაკლოვანი კულტურები) (2) | მეოთხე | მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეხილეობაში (კურკოვანი კულტურები / თესლოვანი კულტურები / კაკლოვანი კულტურები) 010166 | საბაზო განათლების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის -99 | საბაზო განათლების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის -129 | ქართული | 10 | ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14 |
| | | | | სრული ზოგადი განათლების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის -64 | სრული ზოგადი განათლების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის -94 | | 20 | ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №192 |

*(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;*

*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.*

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №16 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს სხდომის დღიდან.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე